

**ლია ახალაძე¹, ნინო შიოლაშვილი²,
თამარ ფხალაძე³, თამარ შინჯიაშვილი⁴, გვანცა ბურდული⁵**

<https://doi.org/10.52340/sou.2022.20.10>

**ჩრდილოეთ კავკასიაში ქართველთა მიგრაციის საკითხი XIX
საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში
(ქართული პრესის მიხედვით)**

აბსტრაქტი. საქართველოდან ქართველთა მიგრაციის თემა ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად შესწავლილი საკითხია. ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე ქართველთა პირველი დასახლებები XVIII საუკუნეში კასპიისპირეთსა და თურგისპირეთში დაარსდა. XIX საუკუნიდან ქართველთა გადასახლება გააქტიურდა. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი მთავარ სატრანზიტო, სამაგისტრო გზას - დარიალის ხეობას, იგივე „არაგვისკარს“ ენიჭებოდა, რომელსაც XIX საუკუნიდან „საქართველოს სამხედრო გზა“ ეწოდა. ამრიგად, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩრდილო კავკასიაში შეიქმნა ქართველების საკმაოდ მრავალრიცხოვანი და კარგად ინტეგრირებული დიასპორა.

ჩრდილო კავკასიაში ქართველთა მიგრაცია, ძირითადად საქართველოს მთიანი რეგიონებიდან - მთიულეთი, ხევი, რაჭა განხორციელდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩრდილო კავკასიაში არა მხოლოდ ქართველების მიგრაცია ხდებ-

¹ **ლია ახალაძე**, ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

² **ნინო შიოლაშვილი**, ისტორიის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებული სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

³ **თამარ ფხალაძე**, ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

⁴ **თამარ შინჯიაშვილი**, ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

⁵ **გვანცა ბურდული**, ისტორიის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებული სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ბოდა, არამედ XVII-XVIII და XIX საუკუნეების დასაწყისში საქართველოში გადმოსახლებული ოსების უკან დაბრუნების მასიური შემთხვევებიც ფიქსირდება. აღნიშნული პროცესი ინტენსიურადაა გაშუქებული ქართული პრესის ფურცლებზე: „ივერია“, „დროება“, „ცნობის ფურცელი“, „კლდე“, „განათლება“ და ა. შ. გარდა პრესისა ინფორმაცია დაცულია საქართველოს სიძველეთ-საცავებსა და პირად ფონდებში, მათ შორის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში.“ წინამდებარე სტატიაში ჩრდილოეთ კავკასიაში ქართველთა მიგრაციის საკითხი XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში შესწავლილია XIX-XX საუკუნეების მიჯნის ქართული პრესის მიხედვით.

ნაშრომში ისტორიული კომპარატივიზმისა და კონტენტ - ანალიზის მეთოდის გამოყენებით შედარებულია საკითხის შესახებ XIX-XX საუკუნეების მიჯნის ქართულ პრესაში არსებული მონაცემები, გამოკვლეულია ქართველთა მიგრაციის მიზეზები, ჩრდილო კავკასიაში დამკვიდრებულ ქართველთა ეკონომიკური და კულტურული საქმიანობა, მათი წარმატებები და ბრძოლა ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისთვის. კვლევის საფუძველზე გამოტანილია დასკვნები, რომ მშობლიური ენისა და ტრადიციული კულტურის შენარჩუნებით ქართველები მტკიცედ ინახავდნენ ეროვნულ იდენტობას, რასაც ხელს უწყობდა ჩრდილო კავკასიელ ქართველთა უწყვეტი კონტაქტი მშობლიურ კუთხეებთან, მათ მიერ დაარსებული ქართული სკოლები და ქართული ეკლესია, რითაც ინარჩუნებდნენ სულიერი კულტურის ელემენტებს, მყარად იცავდნენ ეროვნულ-კულტურული იდენტობის უმნიშვნელოვანეს მახასიათებლებს: ქართული ენას, დამწერლობას, ლიტერატურას, ტრადიციულ ყოფას, ქართულენოვან თეატრალურ წარმოდგენებს და ა. შ. ჩრდილოეთ კავკასიაში მიგრირებულ ქართველთა კულტურულმა მოძრაობამ, მძლავრი იმპულსები მისცა ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებას.

საკვანძო სიტყვები: ქართველები, ჩრდილოეთ კავკასია, მიგრაცია, XIX-XX საუკუნეები, ქართული პრესა, ეროვნული და კულტურული იდენტობა.

**Lia Akhaladze⁶, Nino Shiolashvili⁷, Tamar Pkhaladze⁸,
Tamar Shinjiashvili⁹, Gvantsa Burduli¹⁰**

**The Issue of Georgian Migration to the North Caucasus in the Second
Half of the 19th Century and the Beginning of the 20th Century
(According to the Georgian Press)**

Abstract. The migration of Georgians from Georgia is a less studied issue in Georgian historiography compared to other ethnic groups. The first Georgian settlements in the North Caucasus date back to the 18th century around the Caspian Sea and the river Tergi. From the 19th century, the emigration of Georgians became more active. In this process, a special role was assigned to the main transit and main road - Dariali valley, the same "Aragviskari", which was called "Military road of Georgia" since the 19th century. Consequently, a sizable and well-integrated diaspora of Georgians emerged in the North Caucasus by the second half of the 19th century.

The migration of Georgians to the North Caucasus took place mainly from the mountainous regions of Georgia - Mtiuleti, Khevi, Racha. It should be noted that not only migration of Georgians took place in the North Caucasus, but also occurred significant cases of Ossetians returning to Georgia during the 17th-18th and early 19th centuries. The mentioned process is intensively covered in the pages of the Georgian press: "Iveria", "Droeba", "Tsishni Shtshi", "Klede", "Ganatleba", etc. Sh. In addition to the press, information is available in antiquities and private funds of Georgia, including the fund of the Society for Spreading Literacy among Georgians. In the present article, the issue of migration of Georgians to the North Caucasus in the second half of the 19th century and the beginning of the 20th century is studied according to the Georgian press of the turn of the 19th-20th centuries.

Utilizing historical comparativism and content analysis, the paper compares the data available in the Georgian press at the turn of the 19th-20th centuries, explores the reasons for migration of Georgians, the economic and cultural activities of the Georgians living in the North Caucasus, their successes and the struggle to preserve the national identity. On the basis of the research, the conclusions were drawn that by preserving their native language and traditional culture, Georgians firmly preserved their national identity, which was facilitated by the continuous contact of North Caucasian Georgians with their native regions, the Georgian schools and the

⁶ **Lia Akhaladze**, Doctor of History, Associate Professor of Sokhumi State University.

⁷ **Nino Shiolashvili**, Doctor of History, Associate Professor of St. Andrews Georgian University.

⁸ **Tamar Pkhaladze**, Doctor of History, Associate Professor of Sokhumi State University.

⁹ **Tamar Shinjiashvili**, Doctor of History, Associate Professor of Sokhumi State University.

¹⁰ **Gvantsa Burduli**, Doctor of History, Associate Professor of St. Andrews Georgian University.

Georgian church founded by them, thus preserving the elements of spiritual culture, firmly protecting the most important features of the national-cultural identity: the Georgian language, writing, literature, traditional existence, Georgian-language theatrical performances, etc. The cultural movement of Georgians migrating to the North Caucasus gave powerful impulses to the cultural and educational life of the local population.

Key words: Georgians, North Caucasus, Migration, XIX-XX Centuries, Georgian Press, National and Cultural Identity.

კვლევის ძირითადი ნაწილი. საქართველოს სამეფო კარს უძველესი დროიდანვე მჭიდრო კავშირები ჰქონდა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა - იქნებოდა ეს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო თუ კულტურული ურთიერთობები. ეს კავშირები დამყარებული იყო ორმხრივ სასარგებლო და საჭირო ურთიერთობებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული კულტურის - ქართული ენის, დამწერლობის და ქრისტიანული რელიგიის გავლენა და გავრცელება ჩრდილო კავკასიის მთიანეთის ხალხებზე. სწორედ ამ კავშირებმა ჩამოაყალიბა ყოფისა და ზნე-ჩვეულებათა მთელი რიგი ერთობლიობა.

საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ხალხებს შორის კომუნიკაციის დამყარება ხორციელდებოდა რამდენიმე საუღელტეხილო გზით, მათ შორის ასეთი იყო „დვალეთის გზა“¹¹, იგივე „კასრის კარი“, რაჭაზე გადმომავალი „მამისონის გზა“ და სხვა გზა-ბილიკები. განსაკუთრებული როლი ამ მხრივ მთავარ სატრანზიტო, სამაგისტრო გზას - დარიალის ხეობას, იგივე „არაგვისკარს“ ენიჭებოდა, რომელსაც XIX საუკუნიდან „საქართველოს სამხედრო გზა“ ეწოდა. აღნიშნული გზის მოწყობამ ხელი შეუწყო კავკასიის ხალხთა ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების კიდევ უფრო მეტად განვითარებას და დაახლოებას. XIX საუკუნიდან იწყება აღორძინება იმ კულტურული ურთიერთობების, რომელიც ოდითგანვე არსებობდა ქართველ და ჩრდილო

¹¹ დვალეთი იყო საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, მდებარეობს კავკასიონის ქედის ცენტრალურ ნაწილში, მას აღმოსავლეთით ესაზღვრება ყაზბეგის მუნიციპალიტეტი (ხევი და თრუსო), დასავლეთით - მთის რაჭა და კუდარო, სამხრეთით - შიდა ქართლის მთიანეთი - დიდი ლიახვის სათავეები, ჩრდილოეთით - ალაგირის ხეობა. დვალეთი შედგება ექვსი ხეობისგან კასრის, ზრამაგის, ჟღელეს, ნარის, ზროგოს და ზახას ხეობებისგან. დვალეთი XIX საუკუნემდე საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო. 1858 წელს რუსეთის იმპერიამ ეს მხარე საქართველოს ჩამოაშორა. დღეს დვალეთი რუსეთის ფედერაციაში შემავალ ჩრდილო ოსეთის შემადგენლობაშია მოქცეული (გვასალია, 1990: 13-15).

კავკასიელ ხალხებს შორის და გვიან შუა საუკუნეებში არახელსაყრელი საგარეო-პოლიტიკური და საშინაო ვითარების გამო შეფერხდა.

ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე ქართველთა პირველი დასახლებები XVIII საუკუნეში კასპიისპირეთსა და თერგისპირეთში დაარსდა. საქართველოდან გადასახლებულთა ლოკალიზაციის ადგილი იყო ყიზლარი და მოზდოკი. აგრეთვე მცირე დასახლებები ჰქონდათ თერგის მარცხენა სანაპიროზე, რომლებიც მოგვიანებით „სტანიცებად“ გადაიქცნენ. ქართველთა პირველმა დასახლებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთისა და ჩრდილო კავკასიის ხალხების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში.

საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში მოსახლეობის მიგრაციული პროცესები განსაკუთრებით XIX საუკუნიდან გააქტიურდა, როდესაც დაიწყო ფართო მასშტაბით დარიალის ხეობაში საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობა. ინტენსიურ მიგრაციულ პროცესებს ხელი შეუწყო აგრეთვე იმპერიის მიერ ჩრდილო კავკასიაში გატარებულმა ადმინისტრაციულმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა რეფორმებმა. მეფის რუსეთმა ჩრდილო კავკასიის ხალხების დამორჩილების მიზნით აქ თავისი სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკა განახორციელა - 1810 წლის 6 ივლისს რუსეთის მინისტრთა კომიტეტმა „მთიელებში წესრიგისა და მშვიდობის დამყარების საქმისათვის“ დაადგინა, ჩრდილო კავკასიაში „მთიელებთან სავაჭრო-გაცვლითი პუნქტების შექმნა“. 1811 წლის გაზაფხულიდან კავკასიის ხაზზე ნელ-ნელა დაიწყო სავაჭრო-გაცვლითი პუნქტებისა და მაღაზიების გახსნა. აღნიშნულმა პუნქტებმა გარკვეული როლი შეასრულეს რუსეთსა და ჩრდილო კავკასიელ მთიელთა შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების საქმეში. ჩრდილო კავკასიელ მთიელებსა და იქ არსებულ რუსულ ქალაქებთან, ციხესიმაგრეებთან თუ „სტანიცებთან“ (პიატიგორსკი, გეორგიევსკი, პოკროვსკი, მოზდოკი, ვლადიკავკაზი, ნალჩიკი, ყიზლარი, დერბენტი, ამირ-აჯი-იურტი, ასტრახანი და სხვ) სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება გამოიწვია. მოზდოკში, გეორგიევსკში, პიატიგორსკსა და პოკროვსკში ხშირად ეწყობოდა დიდი ბაზრობები, ე. წ. იარმურკები, სადაც რუსული სამრეწველო საქონლის გარდა დასავლეთ ევროპიდან, თურქეთ-ირანიდან და შორეული ჩინეთ-ინდოეთიდან შემოტანილი საქონელი იყიდებოდა. შემდგომში ეს ახალი დასახლებები ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის მსხვილ ცენტრებად და ჩრდილო კავკასიაში რუსეთის იმპერიის მნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ საყრდენად იქცნენ. ჩრდილო კავკასიაში ცარიზმის მიერ განხორციელებული აღნიშნული სავაჭრო-ეკონომიკური რეფორმა ერთი მხრივ, ითვალისწინებდა მთიელთა მხრიდან წინააღმდეგობის შესუსტებას, ხოლო

მეორე მხრივ, კავკასიაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სავაჭრო-ეკონომიკური რეფორმის განხორციელების შემდეგ მთავრობამ ჩრდილო კავკასიაში მეორე საგადასახადო რეფორმა გაატარა, რომელიც მცირე და უნაყოფო მიწებიდან მთიელების ბარად ჩამოსახლებას ითვალისწინებდა. აღნიშნული რეფორმა მთიელების ადვილად დამორჩილების ერთ-ერთი სახე იყო, რომელიც მათი ბარად დამკვიდრების შემთხვევაში აჯანყებების წამოწყების სრულ უგულვებელყოფას ითვალისწინებდა (ანჩაბაძე და სხვები, 1978: 24-25).

გატარებულ სავაჭრო-ეკონომიკურ რეფორმას დადებითი შედეგები მოჰყვა, იგი ხელს უწყობდა კავკასიელი ხალხების ერთმანეთთან კულტურულ დაახლოებას და ამავე დროს იწვევდა მეურნეობის სხვადასხვა დარგების შემდგომ დაჩქარებულ განვითარებას. აღნიშნულმა სავაჭრო-ეკონომიკურმა რეფორმამ დიდი როლი შეასრულა კავკასიაში რუსეთის იმპერიის ხელისუფლების ძალაუფლების დამყარებაში¹².

სავაჭრო-ეკონომიკური რეფორმის ნაწილს წამოადგენდა აგრეთვე XIX საუკუნის 70-იან წლებში ჩრდილო კავკასიაში რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან გერმანელი კოლონისტების გადასახლება, რომელთაც ხელი უნდა შეეწყო ჩრდილო კავკასიაში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის. კოლონისტები აარსებდნენ მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობებს, ხსნიდნენ ფაბრიკა-ქარხნებს, სადაც ეწეოდნენ ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებას (ანჩაბაძე და სხვები, 1978: 158).

ზემოთ განხილულმა რეფორმამ ხელი შეუწყო კავკასიის მთიელებში სოფლის მეურნეობის განვითარებას, XIX ს. 70-იანი წლებიდან დაიწყო სარწ-

¹² მას შემდეგ რაც კავკასიის ომები გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, რუსეთის იმპერიამ ჩრდილო კავკასიაში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმა განახორციელა, იმპერატორ ალექსანდრე II-ის 1860 წლის 8 (20) თებერვლის ბრძანებულებით შეიქმნა თერგის ოლქი (Терская область), რომლის ადმინისტრაციულ ცენტრს ქალაქი ვლადიკავკაზი წარმოადგენდა. იგი თავდაპირველად 8 ოკრუგს აერთიანებდა: არღუნის, ინგუშეთის, იჩქერიის, ყაბარდოს, კუმიკის, მთიანეთის, ოსეთის და ჩეჩნეთის. შემდგომ წლებში ოლქი გაფართოვდა და სტავროპოლის გუბერნიის ქალაქები: მოზდოკი (1866 წელს), ყიზლარის (1867 წელს) და გეორგიევსკი (1868 წელს) შეუერთდა. 1870 წელს თერგის ოლქში შემავალი ოსეთისა და ინგუშეთის ოკრუგები ერთიან ვლადიკავკაზის ოკრუგში გაერთიანდა და 8-ის ნაცვლად ჩამოყალიბდა 7 ოკრუგი: არღუნის, ვედენოს, ვლადიკავკაზის, გეორგიევსკის, გროზნოს, ყიზლარის და ხასავ-იურტის. საბოლოოდ კი 1874 წელს ქალაქი პიატიგორსკი თერგის ოლქს შეუერთეს და გეორგიევსკის ოკრუგის ნაცვლად პიატიგორსკის ოკრუგი ეწოდა.

ყავი არხების მშენებლობა. სამელიორაციო სამუშაოები სრულდებოდა როგორც ბარში, ასევე მთაშიც, მნიშვნელოვნად ფართოვდებოდა მებაღეობა-მევენახეობა, მოჰყავდათ სიმინდი, ბაღჩეული კულტურები - განსაკუთრებით განვითარდა კარტოფილის კულტურა და ჩრდილო კავკასიელ ხალხთა ტრადიციული სამეურნეო დარგები - მეფუტკრეობა, მესაქონლეობა, მეცხვარეობა, მეცხენეობა. სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებამ გამოიწვია სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გადასამუშავებელი საკონსერვო, ღვინის, არყის და ლუდსახდელი ქარხნების მშენებლობა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება მრეწველობის განვითარება. მრეწველობის დარგებიდან აღსანიშნავია ვერცხლისა და ტყვიის მადნის დამუშავება - სადონის მადაროები და ალაგირის გადამამუშავებელი ქარხანა; ნავთობისმოპოვება გროზნოში; გოგირდის, ვერცხლისწყლის, მარილის, ტორფის მოპოვება დაღესტანში (ანჩაბაძე და სხვები, 1978:170,217, 222).

სავაჭრო ურთიერთობათა განვითარების თვალსაზრისით XIX ს. მეორე ნახევარში, თერგის ოლქში, ყველაზე სწრაფად ვლადიკავკაზის ოკრუგი დაწინაურდა. მისი სწრაფი ზრდა 60-იანი წლებიდან იწყება. ჩნდება ახალი სამრეწველო და სახელოსნო საწარმოები - 1875 წ. ვლადიკავკაზის ოკრუგში აღრიცხული იყო 145 საწარმო. უმეტესი ნაწილი კუსტარული ტიპის იყო (ქონსახდელი, წყლის წისქვილები, ზეთსახდელი, ტყავის, სანთლის, აგურ-კრამიტის საწარმოები და სხვ.). ყველაზე მსხვილ საწარმოებად კი ალაგირის ვერცხლ-ტყვიის და სარაჯევის¹³ (სარაჯიშვილის) სპირტ-არყის ქარხნები ითვლებოდა. 1880 წელს აქ აშენდა ბარონ შტეინგელის აგურის ქარხანა, ყორღანოვის, ქეთხუდოვის და ტაიროვის არყის ქარხანა, ვახტანგოვის თამბაქოს ფაბრიკა. მრეწველობის განვითარებასთან ერთად იქმნება სავაჭრო დაწესებულებები, იზრდება ქალაქის ტერიტორია და მოსახლეობა, იცვლება მისი გარეგნული სახე. მისი ცენტრალური მდებარეობა რუსეთის ამიერკავკასიასთან დამაკავშირებელ მაგისტრალზე, რუსეთის კავკასიურ საქალაქო ცენტრებთან სიახლოვე და მჭიდრო კავშირი ხელს უწყობდა ქალაქის განვითარებას. 1872 წელს დაწყებულმა როსტოვ-ვლადიკავკაზის რკინიგზის მშენებლობამ (მშენებლობა დასრულდა 1875 წელს) ვლადიკავკაზის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, რამაც ამ ოკრუგში სამრეწველო საქონლის მოზღვაება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბრუნვა გამოიწვია. თავად

¹³ იგულისხმება ცნობილი ქართველი მრეწველი და ქველმოქმედი დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი (1848-1911 წწ.).

ქალაქი ვლადიკავკაზი ჩრდილო კავკასიის არა მარტო მთავარი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრი გახდა, არამედ ძირითადი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრიც (კლდე, 1920: 2).

1875 წლიდან, საქალაქო დებულების თანახმად, ვლადიკავკაზის საქმეებს არჩევითი სათათბირო ორგანო (დუმა) ხელმძღვანელობდა, რომელსაც ქალაქში უძრავი ქონების მქონე პირები, ვაჭრები და მრეწველები ირჩევდნენ. 1875 წლის 1 იანვრისათვის ასეთი 735 კაცი აღმოჩნდა. 1870 წ. ქალაქის მოსახლეობა 11000 სულს აღწევდა. 1877 წლისათვის - 23700 გადააჭარბა, 1897 წ. აღწერით კი მისი მოსახლეობა 43 740 სულს შეადგენდა (ანჩაბაძე და სხვები, 1978: 175).

XIX ს. 70-იანი წლებიდან დაიწყო ქალაქის კეთილმოწყობა. შენდებოდა ახალი, თანამედროვე შენობები, გაყვანილ იქნა წყალსადენი, მოიკირწყლა გზები, ქუჩები. მოეწყო ქალაქის განათება ნავთის ფარნებით. XIX ს. ბოლოსათვის ვლადიკავკაზი ეკონომიკურად სავაჭრო და ხელოსნობის ტიპის მრეწველობის ქალაქი იყო, სოციალ-პოლიტიკურად კი თერგის ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი, სამხედრო-საქალაქო ბიუროკრატიის, მეშჩანების, კაზაკებისა და მთიელთა არისტოკრატიის ქალაქი იყო. ვლადიკავკაზის გარდა მრეწველობა, ვაჭრობა, და საქალაქო ცხოვრება ვითარდებოდა ჩრდილო კავკასიის სხვა ქალაქებშიც: პიატიგორსკი, გროზნო, მოზდოკი და გეორგიევსკი. ქ. პიატიგორსკისა და მის მიმდებარე სოფელებში სადაც დიდი სახნავ-საძოვარი სივრცეები იყო განვითარდა სოფლის მეურნეობა, ხოლო აქ არსებულმა მდიდარმა მინერალურმა წყაროებმა პიატიგორსკი სამკურნალო-დასასვენებელ საკურორტო ზონად გადააქცია. პიატიგორსკის ბუნებრივმა რესურსმა კოლონიზაციის პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში პიატიგორსკის ოკრუგში 1000-ზე მეტი კომლი გადასახლდა. ისინი მკვიდრი მოსახლეობის 89%, შეადგენდნენ. გადასახლებულმა შეძლებულმა პირებმა შეისყიდეს მიწები, მოაწყვეს საკურორტო ზონები - სანატორიუმები, ააშენეს სასტუმროები; სოფლად შეძენილ მიწებზე დიდი მეურნეობები მოაწყვეს, მიწების ნაწილს კი იჯარით გასცემდნენ.

მოზდოკის ოკრუგში 80-90-იან წლებში ჩნდებიან კოლონისტები. აქ მდიდარი გლეხები - მეწარმეები, მეცხვარეები მიდიოდნენ, კაზაკთაგან მიწებს იჯარით იღებდნენ და ცხვრის დიდ ფარებს აშენებდნენ. გროზნოს ოკრუგში განვითარდა სოფლის მეურნეობა და მრეწველობა. იგი ჩრდილო კავკასიაში სიმინდის წარმოებით პირველ ადგილზე იყო. აქ აღმოჩენილმა ნავთობის საბადოებმა გროზნოში ნავთობმომპოვებელი მრეწველობის განვითარება გამოიწვია (ანჩაბაძე და სხვები, 1978: 151, 155).

ზემოთ აღნიშნული სავაჭრო-ეკონომიკური რეფორმებიდან გამომდინარე, დაიწყო საქართველოს მთიანი პროვინციებიდან მოსახლეობის ჩრდილო კავკასიაში გაღრმობა. ამას ხელს უწყობდა საქართველოს მთიანი რეგიონის მოსახლეობის უკიდურესი სიღარიბე, უმუშევრობა, რომელსაც ხშირად მოუსავლიანობა და შიმშილი ემატებოდა. 1883 წლის გაზეთი დროება იუწყებოდა, რომ „სწორედ იმ ნაირსავე მდგომარეობაში არიან ამ ჟამად „ხევის“ მცხოვრებნი, როგორშიაც რაჭველები. საშუალო გამოანგარიშებით, ასი კომლი მეტი გადასახლდა ამ შემოდგომაზე ხევიდან ვლადიკავკავის მაზრაში... გადასახლებულებმა (იჯარით აღებულს მიწაზე) სახლების აშენება ვეღარ დაასწრეს ზამთარს... ხევის მცხოვრებთ გადასახლების იძულების შექმნის მიზეზი არის მარტო სიმშილი, რადგანაც ამ უკანასკნელის ხუთი წლის განმავლობაში, ერთი მეორის შემდეგ, არც ერთ წელს რიგიანი მოსავალი არ ღირსებიათ. საფიქრებელია, თუ მომავალ წლებშიაც კიდევ ერთი ორი წელიწადი ისეთი ცუდი მოსავალი მოვიდა, როგორც იყო უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, მაშინ ჩვენ უნდა მოველოდეთ უმეტეს ნახევარი ნაწილის ხევის მცხოვრებთ ვლადიკავკავის მაზრაში გადასახლებას... რომელ ერთს ნაკლებევენებას გაუძლოს ხევის კაცმა? სიმშილი, უშეშობა, ზამთრის კაცით მთაზე ბეგრით მუშაობა სამხედრო-საქართველოს გზაზე, ზამთრის და ზაფხულის ურმით ჯარების ბარგის ზიდვა და სხვანი, ყველა ეს მთის კაცს აწევს აღსასრულებლად კისერზე“ (დროება, 1883: N 28: 2-3).

ზემოთ აღნიშნულმა მიზეზებმა გამოიწვიეს მოსახლეობის მასიური გადასვლა ჩრდილო კავკასიაში. ამრიგად, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩრდილო კავკასიაში შეიქმნა ქართველების საკმაოდ მრავალრიცხოვანი და კარგად ინტეგრირებული დიასპორა.

ჩრდილო კავკასიაში ქართველთა მიგრაცია, ძირითადად საქართველოს მთიანი რეგიონებიდან - მთიულეთი, ხევი, რაჭა განხორციელდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩრდილო კავკასიაში არა მხოლოდ ქართველების მიგრაცია ხდებოდა, არამედ XVII-XVIII და XIX საუკუნეების დასაწყისში საქართველოში გადმოსახლებული ოსების უკან დაბრუნების მასიური შემთხვევებიც ფიქსირდება. ჩრდილო კავკასიაში ქართველები სახლდებოდნენ, როგორც ვლადიკავკაზში, ასევე მოზდოკში, ალაგირსა და პიატიგორსკში. მიგრაციული პროცესები განსაკუთრებით გაძლიერდა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში.

1903 წლის ქართული პრესის მიხედვით ჩრდილო კავკასიაში დაახლოებით 1600 კომლი ქართველი ცხოვრობდა, აქედან 800 კომლი სხვადასხვა სტანციასა და სოფელში ცხოვრობდა. ქართველებს შექმნილი ჰქონდათ მცირე სამოსახლო ადგილი სახნავ-სათესი მიწებით. 800 კომლი ქართველიდან

დაახლოებით 400 კომლი მისდევდა ვაჭრობას, ხელოსნობას ან სხვადასხვა წარმოებაში მუშაობდა და დღიურ სამუშაოს ეწეოდნენ. ასეთი ოჯახების უმეტესობა ქალაქებში ცხოვრობდა, მათ მცირე ნაწილს საკუთარი საცხოვრებელი ჰქონდა, უმრავლესობა კი ქირით ცხოვრობდა (ივერია, 1903, N72:2-3).

1870-1880-იან წლებში მხოლოდ ალაგირში რაჭველების 200-მდე ოჯახი დასახლდა. ამ დროს აქ შენდებოდა ტყვიისა და ვერცხლის გადამამუშავებელი და მარილის მომპოვებელი ქარხნები, სადაც დიდი რაოდენობით სხვადასხვა პროფესიის მუშახელი სჭირდებოდათ: ხარატები, დურგლები, მხერხავები, კირის გამოწვის ოსტატები. ადგილობრივ მოსახლეობაში ჩასულმა ქართველებმა კარგი განწყობა მოიპოვეს. 1883 წელს ვლადიკავკაზის გაზეთი „Терек“-ი იუწყებოდა, რომ „ალაგირის მაზრაში გადმოსახლებულმა იმერლებმა (რაჭველებმა) ადგილობრივ მთავრობასთან თხოვნა შეიტანეს, რომ სახელმწიფო ტყიდან ფიჩხის გამოტანის უფლება მისცემოდა. გადმოსახლებული იმერლები ისეთი შრომისმოყვარე და მშვიდობიანი ხალხია, ამასთანავე ისეთი გამოსადეგი ჩვენი ქვეყნისათვის, რომ კარგი იქნება თუ ადგილობრივი მთავრობა მათ ყოველი შემწეობა აღმოუჩინოს“-ო (დროება, 1883, N28: 1.)¹⁴. 1911 წლის მონაცემით ალაგირელი ქართველები სოფლის მოსახლეობის თითქმის მეოთხედს შეადგენდნენ. მათ ძირითად საქმიანობას მიწათმოქმედება წარმოადგენდა. მიწას იჯარით იღებდნენ. მოჰყავდათ: სიმინდი, პური; ბოსტნეული კულტურიდან ძირითადად კარტოფილი და ლობიო, გაშენებული ჰქონდათ ვაშლის, ქლიავისა და მსხლის ბაღები; ასევე მისდევდნენ მეცხოველეობას და მეფრინველეობას. მცხოვრებთა შორის 17-მდე ვაჭარი და 25-მდე დურგალი იყო. იყვნენ მეთონეები, მჭედლები, მეფურნეები. ზაფხულობით ვლადიკავკასიდან და სხვა ქალაქებიდან ალაგირს, როგორც სააგარაკო ადგილს, ბევრი სტუმარი სტუმრობდა. 1897 წელს ადგილობრივი ქართველების ინიციატივით დაარსდა ქართული სამრევლო სკოლა, რომელიც თავდაპირველად ნაქირავებ შენობაში იყო განთავსებული. სკოლის დაარსებაში დიდი წვლილი მიუძღვით ვლადიკავკაზის საკათედრო ტაძრის დეკანოზს, კ. ალექსანდროვს და ვლადიკავკაზის გიმნაზიის მასწავლებელს კახიძეს, რომლებმაც მთავრობის წინაშე შუამდგომლობა გასწიეს სკოლის განხრის თაობაზე. სკოლაში ყველა საგანი ქართულ ენაზე ისწავლებოდა. სკოლის დაარსებაში მონაწილეობა აქვს მიღებული აგრეთვე ადგილობრივ ქართველს, რაზმაძეს, რომელმაც ამავე დროს ალაგირში ქართველ მომღერალთა გუნდი ჩამოაყალიბა; მას ასევე გაუმართავს ქართული წარმოდგენა (ბურჯანაძე, 1912: 54).

¹⁴ გასწორებულია ახალი ქართული სალიტერატურო ნორმების მიხედვით.

ალაგირის ქართული სკოლის პედაგოგები იყვნენ მღვდელი პავლე ლომთათიძე, ერმალოზ სირბილაძე¹⁵, გრიგოლ რაზმაძე (იგი 1916 წელს იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კავკასის (ვლადიკავკაზის) განყოფილების ნამდვილი წევრი, ხოლო 1917 წელს ამავე საზოგადოების პეტროვსკის¹⁶ განყოფილების გამგეობის წევრი), დუდუშაური, მექაშვილი. 1910 წლიდან ალაგირის ქართულ სკოლაში პედაგოგად მუშაობდნენ აგრაფინა ფოცხვერაშვილი, გიორგი უთურაშვილი, ეს უკანასკნელი იყო ასევე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ალაგირის განყოფილების წევრი და ამავდროულად ხელმძღვანელობდა სკოლის ქოროსაც. 1913 წელს ალაგირის ქართული სკოლის მასწავლებელი იყო ასევე ნიკოლოზ ხატიცკაცი (ბურჯანაძე, 1912: 54)

1911 წლის 13 ნოემბერს საზეიმოდ გაიხსნა და იკურთხა ალაგირის ქართული სკოლის ახალი, ერთსართულიანი ქვის შენობა, რომელიც ადგილობრივმა ქართველობამ საკუთარი ხარჯით ააგო და 11500 მანეთი დაჯდა. სკოლის გახსნას და შენობის კურთხევას დაესწრნენ ჩრდილო კავკასიელი ქართველები, მათ შორის იყო კავკასის (ვლადიკავკაზის) ქართული სკოლის გამგე ვარლამ ბურჯანაძე. იგი აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდა, როგორც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ კავკასის (ვლადიკავკაზის) განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის ნდობით აღჭურვილი პირი. ბურჯანაძე გაეცნო იქაურ ვითარებას და გამგეობას დაწვრილებითი მოხსენება წარუდგინა. მისი მოხსენების მიხედვით, სასურველი იყო დროთა განმავლობაში სკოლა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გადასცემოდა, ამისთვის კი ალაგირში „საზოგადოების“ განყოფილება უნდა გახსნილიყო, რომელიც კავკასის განყოფილებას დაექვემდებარებოდა. ვარლამ ბურჯანაძის მოხსენების თანახმად, 1911 წელს ალაგირის ქართულ სკოლაში 100 მოსწავლე სწავლობდა. სკოლის ოფიციალურ გამგედ ითვლებოდა ადგილობრივი ეკლესიის მღვდელი ანდრეევსკი (ბურჯანაძე, 1912: 54).

1913 წლის 24 ნოემბერს ალაგირის ქართული სკოლის მასწავლებლის ნიკოლოზ ხატიცკაცის ინიციატივით გამართულ სოფლის კრებაზე გადაწყდა, რომ ალაგირში დაეარსებინათ ქმწგ საზოგადოების განყოფილება სახელწოდებით: „ალაგირის ადგილობრივი განყოფილება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“, კრებაზე ასევე მოითხოვეს, სოფ-

¹⁵ ერმალოზ სირბილაძე 1919 წლის 9 მაისიდან იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი.

¹⁶ დღევანდელი ქალაქი მაჰაჩყალა, დაღესტნის დედაქალაქი.

ლის სამკითხველოს და საკვირაო სკოლის გახსნაც. აღნიშნული საზოგადოება ალაგირში 1914 წელს დაარსდა, რომლის თავმჯდომარედ მღვდელი გაბრიელ გრიგოლის ძე ბოჭორიშვილი¹⁷, ხოლო მოადგილედ ნიკოლოზ ხატი-სკაცი აირჩიეს. 1916 წლის ცნობით ალაგირის განყოფილებას 36 ნამდვილი წევრი ჰყავდა, მათ შორის: ალექსი ლობჯანიძე, ილია უნგიაძე, პეტრე მეტრეველი, სამსონ მეტრეველი და სხვ (პროსოპოგრაფია, 1918-1921).

1915 წელს, ბიბლიოთეკას დავით არევაძე ხელმძღვანელობდა. მისი ანგარიშის მიხედვით, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ალაგირის განყოფილების ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ერთი ნაქირავები ოთახი ეკავა. აღნიშნული წლის ცნობით შეუძენიათ 228 ქართული და 133 რუსული წიგნი. სამკითხველოს 120 ქართველი, 5 რუსი და 6 ოსი ხელმძღვანელი ჰყავდა, მათგან 8 სასულიერო წოდების, 31 ვაჭარი, ნოქარი და მოქალაქე, 2 ჯარისკაცი, 29 მუშა, 63 მოხელე იყო. ბიბლიოთეკა-სამკითხველოთი 326-მა ქალმა და 1 556-მა კაცმა ისარგებლა, მათგან 1259 ქართველი, 160 რუსი, 29 სომეხი, 7 ებრაელი, 378 ოსი, 6 ბერძენი და 43 სხვა ეროვნებისა იყო. აღნიშნულ დაწესებულებას წერა-კითხვის საზოგადოება 207 მანეთითა და 7 კაპიკით დახმარებია, ხოლო წიგნსაცავ-ბიბლიოთეკის შენახვა კი 1916 წელს 155 მანეთი დაუჯდა (პროსოპოგრაფია, 1918-1921).

ჩრდილო კავკასიაში ყველაზე ძველი ქართული დასახლება მოზდოკსა და ყიზლარს შორის მათ მიერვე დაარსებული ორი პატარა სტანიცა - „სასოფლო“ (Станица Сасоплинская) და შელკოზავოდსკაია (Станица Шелкозаводская), იგივე შელკოვია იყო. რუსეთის ხელისუფლებამ მოგვიანებით, 1859 წელს, მათ სახელები შეუცვალა და ალექსანდროვსკაია (Александровская станица) და სარაფანი უწოდა. ამ ორი დასახლების მცხოვრებნი ქართულ პრესაში ხშირად მოზდოკელი ქართველების სახელითაც იხსენიებიან. 1888 წლის ცნობით, სასოფლოში 70, ხოლო შელკოზავოდსკაიაში 65 კომლი ქართველი ცხოვრობდა¹⁸. მათი გადმოსახლების ზუსტი დრო და მიზეზი ცნობილი არაა. სტანიცა „სასოფლო“ ერთი ცნობის თანახმად, 1820 წელს (სხვა

¹⁷ ცნობილი ქართველი ექიმის, საზოგადო მოღვაწისა და პოლიტიკოსის აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის მამა.

¹⁸ მოზდოკის ოკრუგში ქართველთა ზუსტი რაოდენობა ცნობილი არაა. 1894 წლის მონაცემებით სასოფლოში და შელკოვიაში 84 კომლი და 300 სულზე მეტი ქართველი ცხოვრობდა, 1903 წლის ცნობით კი, მათი რიცხვი 120 კომლამდე გაზრდილა (ივერია 1903 წ. #206, გვ. 2). უშუალოდ ქ. მოზდოკში კი 1896 წლის ცნობით, 140 კომლი ქართველი მოქალაქე ცხოვრობდა (ცნობის ფურცელი, 1896, #46, გვ. 3).

ცნობის მიხედვით 1850 წელს) დაუარსებიათ ქართველებს, ხოლო შელკოზავოდსკაია კი გაცილებით ადრე - 1718 წელს. გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტის ცნობით სასოფლოს ტერიტორია, რომელიც ადრე მდიდარ ყიზლარელებს ეკუთვნოდათ, მათ მიერ ლეკებისგან გამოსყიდული ქართველებისთვის მიუციათ და თავიანთ ტერიტორიაზე დაუსახლებიათ. მათ სხვა ადგილობრივ ხალხებთან მშვიდი და უპრობლემო ცხოვრება ჰქონდათ (ივერია 1888 N135, გვ.2-3, ცნობის ფურცელი 1902 N1706, გვ. 5-6).

აქაური ქართველები 1839 წელს (მეორე ცნობით 1845 წ.) მთავრობის ბრძანებულებით კაზაკებად გააფორმეს და რუსული გვარები დაურეგისტრირეს, უმეტესობას ქართული გვარი ჩაწერის დროს დაუმახინჯეს ან რუსულად თარგმნეს. მაგალითად: კარინი, კიტრანი, ბორისოვი, საველევი, პეტროვი, დუბნიკოვი, ფროლოვი, ივანოვი, გუბერნატოროვი, მუზუროვი, ოტინოვი, აბრამოვი, ოტაროვი, შალიკოვი, ვლასოვი, ფიოდოროვი, გერგიევი, დიმიტრიევი, ბარუკინი, ეგოროვი, ზუზინოვი და სხვ. სტანიცა ალექსანდროვსკაიაში მცხოვრებ ქართველების ნაწილს შენარჩუნებული ჰქონდა თავიანთი გვარები - კიკნაძე, ლომიძე, ბიბილაუროვი, კონჭუხიძე, მარცვილაძე, ნადირაძე, კობურიძე, მარჯანიშვილი და ა.შ. ისინი „ნამდვილი ქართველები არიან, როგორც ადრედით, ზნე-ჩვეულებით, ისე სურვილ-მისწრაფებითა და ტრადიციით. აქ ქართველობა იმდენად მკვიდრ ელემენტად ითვლება, რომ სხვა ტომის ხალხნი იძულებულნი არიან საერთო არჩევნებშიაც იხელმძღვანელონ მათის წარმომადგენლობით. ადგილობრივ თვითმმართველობაში გამგობის ორი წევრი ქართველია არჩეული - პეტროვი და ზუზინოვი; ხმოსანთა რიცხვი მეხუთედი ქართველებია“ წერდა მათ შესახებ გაზეთი „ივერია“ და „ცნობის ფურცელი“ (ივერია 1903 წ. N206, გვ. 2; ივერია 1888 N135, გვ.2-3; ცნობის ფურცელი 1902 N1706, გვ. 5-6).

მოზდოკელი ქართველები თერგის კაზაკთა ჯარში მსახურობდნენ და 1902 წლის ცნობით 700 სულს შეადგენდნენ, ამავე დროს დაკავებულნი იყვნენ სოფლის მეურნეობით, მისდევდნენ - ხვნა-თესვას, მესაქონლეობას, ჰქონდათ ცხენთსაშენი, რომელიც კარგ მოგებას იძლეოდა. მაგრამ მათი ძირითადი საქმიანობა მაინც მევენახეობა-მელვინეობა იყო - „აყენებდნენ ტკბილს და გემრიელს ღვინოს“ და სარფიან ფასად ჰყიდნენ. მელვინეობა მოზდოკში იმდენად პოპულარული გამხდარა, რომ მოგვიანებით აქ ხარკოვიდან გადმოსახლებულ რუსებს ხვნა-თესვისთვის თავი დაუნებებიათ და ვენახები გაუშენებიათ. სამწუხაროდ, ვენახების უმეტესი ნაწილი 1898 წლის სტიქიას გაუნადგურებია, ნაწილი კი ვაზის დაავადებას. თავად სტანიცა შელკოზავოდსკაიაც მდინარე თერგს წაულეკავს, ხოლო იქაური მოსახლეობა მახლობელ ტერიტორიაზე დასახლებულა (ცნობის ფურცელი 1902 #1706, გვ. 5-6).

ერთ დროს ცნობილი მოზდოკის ბაზრობა, სადაც იარმურკობა იმართებოდა ხოლმე, XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, როსტოვ-ვლადიკავკაზის რკინიგზის გაყვანის შემდეგ, დაქვეითდა, რკინიგზის ხაზმა, რომელიც მოზდოკს აცდენილი იყო, მას სავაჭრო ფუნქცია დაუკარგა. ქართველები ამ მიზეზით ქალაქიდან გავიდნენ და ცალკე უბნები დაარსეს, მაგალითად: თუმანიანთ უბანი, ქაციშვილების უბანი და სხვ. ეწეოდნენ სოფლის მეურნეობას, მისდევდნენ ხვნა-თესვას, ძირითადად მოჰყავდათ საზეთე მცენარეები: სელი, კანაფი და ახლად შემოსული ღეროვანა. ქართველთა ნაწილმა კი მდინარე თერგის გაყოლებაზე მოზდოკიდან ქ. ყიზლარამდე სავაჭრო პუნქტები შექმნა. „...თერგის გაყოლება ქ. ყიზლარამდინ ისე რუსის სოფელს (სტანიცას) არ გაივლი, რომ ქართველი ვაჭარი არ შეგხვდეს მოზდოკიდან გადმოსახლებული: რიგი ბაზაზია, რიგი სასმელების დუქნების პატრონი და რიგი ხელოსანია, მეჩხე და სხვა; დღემდის დანარჩენს მოზდოკელ მოქალაქეებს ცხოვრება არ უჭირდათ: არ უჭირდათ იმისთვის, რომ თითქმის ყველა, გარდა სამი-ოთხი დიდი მოვაჭრისა, მევენახეობას მისდევდა. დღეს კი ვაზის ავადმყოფობას...სრულიად მოუსპია ვენახები..“ (ცნობის ფურცელი, 1896, #46, გვ. 3).

ქართველ კაზაკებს გასული საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა მშობლიური ენა, რომელიც ნელ-ნელა დავიწყებას ეძლეოდა (შერეული ჰქონდათ ნოდური სიტყვები), არ იცოდნენ ქართული წერა-კითხვა. ტრადიციულ ყოფაში დაცული ჰქონდათ ქართული ქრისტიანული სარწმუნოებისთვის დამახასიათებელი ადათ-წესები, მათ მახსოვრობაში შემორჩენილი იყო ქართული ფოლკლორი. მაგალითად: ქორწილის დროს სასიძოს სარძლოსთან მიჰყავდა მაყარი, რომლებიც ქართულ სიმღერებს „ყურშავო“-ს და „შავ-ლეკო“-ს ასრულებდნენ. მართავდნენ ხალხურ დღესასწაულს „ყეენობას“. შობის დღესასწაულზე გალობდნენ „ალილოს“ (ცნობის ფურცელი 1902 #1706 გვ. 5-6). „... თამაშობა ჩვენებურ დაირასა და მუზიკაზე ისე კეკლუცად მოსდით, როგორც სანატრელია ყველა კოპწია ქალისათვის; კაცებიც ლეკურს კარგად უვლიან. რუსულს კი იმავე მეცდომით ლაპარაკობენ, როგორც ყოველი ქართველი კაცი, რომელსაც ცოტაოდნად უსწავლია რუსულად მტკრევა. „ქართულები“ უკეთესად ვლაპარაკობთო, ამბობენ სასოფლელები და ეს ასეც უნდა იყოს: ოჯახში ბავშვები ჯერ ქართულს ლაპარაკს სწავლობენ, რადგანაც ქართველთ სახლებში საშინაო ენა ქართულია“ (ივერია 1888 #135 გვ.2-3).

„ქალაქი მოზდოკი, როგორც ცნობილია, დიდი ხნიდან დასახლებულია ქართველებით; როდის გადმოსახლდნენ ესენი აქ, საიდან და რის მიზეზით, მე მგონი, არავინ არ იცის...არც მოზდოკელ ქართველებზე და არც თერგის ხეობაზე მცხოვრებ ქართველებზე რამე. ამას კი ვიტყვით, რომ ამ გადაკარგულ ხალხს საქართველოდან, დედი-ჩემის სიტყვით, მოზდოკისავე მცხოვრების, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სჯულის ხალხთა შორის იმყოფე-

ბიან... საკვირველად დაუცავთ აქნობამდის ენაც, ხასიათიც და ზნე-ჩვეულებაც თავის მამა-პაპათა. მაშინ ადვილი შესაძლებელია, რომ მათვე შერჩათ თავისი ხალხის მუსიკაც. მე, მაგალითად, მაქვს ჩაწერილი ერთი „ალილო“, რომელიც გადმომცა განსვენებულმა მამაჩემმა. ამ „ალილოს“ მუსიკა ძველია და ლამაზი; იმღერება ისე, როგორათაც მღერიან ქართლში და კახეთში უფრო ძველის-ძველ სიმღერებს... შერჩენილია თუ არა მოზდოკში სიმღერები „ალილოს“ გარდა? მოხუცმა დედა ჩემმა მითხრა, რომ მას სიყმაწვილის დროს გაუგონია „მაყრულიც“ დიდი არალაღი და „აღზევანს წასვლაც“. აღზევანს ისინი თურმე ასტრახანს ეძახდნენ. როდესაც მე მას უმღერე „აღზევანს წავალ მარილისათის“, მელოდია და ტექსტი აღმოჩნდა ისეთივე, როგორსაც მღერიან კახეთში. ამას გარდა, მას გაუგია ფერხული, „ზემყრელი“ და ბევრი კიდევ სხვა. ფერხულში, ჩვეულებრივ ამბობდნენ ბევრს სხვა-დსხვა ტექსტებს, როგორათაც ამას შვრებიან ახლა საქართველოში... დედიჩემის სიტყვებისამებრ, მოზდოკის მცხოვრებლები, მიუხედავად თავისი სიღარიბისა და უქონლობისა, თავს იქცევდნენ თავისისავე მშობლიურ სიმღერით და მით მთელ მოზდოკის მიდამოს, ყოველს ზაფხულის საღამოს, მოჭფენდნენ ხოლმე მხიარულის „ჰარალალის“ ხმით... როგორც დედაჩემი ამბობს, თუ რომ პოლიცია არა ცდილიყო აღეკრძალა სიმღერები და ყოველმხრივ დაბრკოლება არ აღმოეჩინა...(ცნობის ფურცელი 1901, #1619 გვ.2-3). წერდა მათ შესახებ ცნობილი ქართველი კომპოზიტორი, მუსიკათმცოდნე და ეთნოგრაფი, დიმიტრი არაყიშვილი. თავად კომპოზიტორის წინაპრები, მისი პაპა, თედო, ცნობილი გენერლის პეტრე ბაგრატიონის ძმის ყმაგლეხი იყო. იგი ნოდაელებთან ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდა, ბოლოს მოზდოკში დასახლდა და იქვე დაოჯახდა. კომპოზიტორის მამაც მოზდოკში დაბადებულა, ხოლო დაოჯახების შემდეგ ვლადიკავკაზის გარეუბანში დასახლდა. თავად დიმიტრი ვლადიკავკაზში დაიბადა და გაიზარდა. მან დიდი შრომა გასწია ქართული ფოლკლორის ნიმუშების მოძიებაში, აწყობდა სამეცნიერო ექსპედიციებს საქართველოს რეგიონებში, შეაგროვა დიდძალი მუსიკალური მასალა. კომპოზიტორი მოზდოკელ ქართველ ინტელიგენციას სთხოვდა, ქართველ კაზაკთა მესხიერებაში შემორჩენილი ქართული სიმღერების და საგალობლების ნოტებზე ჩაწერას - „ეხლა საკითხია შემდეგი? თუ რომ სიმღერა განიდევნა, დავიჯერო არ დარჩნენ ძველი თაობის კაცნი, რომელთაც შეეძლოთ გადმოცემა ყველა მის, რასაც ყმაწვილობის დროს მღეროდნენ? ახ, როგორ საინტერესოა ეს და როგორ საჭიროა ჩვენთვის. ჩვენ, მუზუკანტებს, არა გვაქვს საშუალება, არც დიდი მოცალეობა (მე მაინც და მაინც არა მაქვს), რომ ყველგან მოვასწროთ და ყოველივე შევკრიფოთ, დრო კი მიდის ჩვენ უკითხავად და ჩვენ დაუცდელათ, ძველი ხალხი იხოცება და მიაქვთ თან ყოველივე საფლავში. მაშ, რის გაკეთებაა საჭირო, თუ რომ მუზიკანტებს ამა თუ იმ მიზეზისა გამო არ უხდებათ ადგილობრივ ყოფნა და შეკრეფა ყველა ამის და საქმე კი თხოულობს გადაუდებლობას? ამ შემთხვევაში, რასაკვირველია,

თვით ინტელიგენციამ უნდა მოჰკიდოს ხელი. ჩვენ მივმართავთ ახალგაზრდა ინტელიგენტებს მოზდოკისას. იმედია, ისინი იქაც მოიპოვებინ ცოტა მაინც და გულმხურვალეთ ვსთხოვთ მათ, რომ მიაქციონ ყურადღება ჩვენ კითხვას და გააკეთონ რამე მაინც. ისინი იმყოფებიან ადგილობრივ, ასე თუ ისე საქმესთან უფრო ახლოს. ისინი უფრო უნდა იცნობდნენ იქაურს ხალხს, თუ არ იცნობენ, შეუძლიანთ გაიცნონ სხვაზე უფრო ადრე, სხვაზე უფრო უკეთესად. ვინცობაა, თუ შერჩენილა ესა თუ ის ხალხური სიმღერა, უნდა ვეცადნეთ (თუ ფონოგრაფი არ გვაქვს) ვიპოვოთ იმისთანა კაცი, რომელსაც შეუძლოს ნოტებზედ სიმღერების ჩაწერა. თუ რომ ამისთანა კაცი არ მოიპოვება და ისა რჩება გამოურკვეველს მდგომარეობაში, მაშინ უნდა ვეცადნეთ სიმღერები (რასაკვირველია, როგორც საერთო, ისე საეკლესიო, თუ მოიპოვება) დავისწავლოთ ზეპირათ, ტექსტები, რომელიც კი მოიპოვება, ჩაიწეროს ვრცლათ...“ (ცნობის ფურცელი 1901, #1619 გვ.2-3). კომპოზიტორის ამ თხოვნას მოზდოკიდან გიორგი დუდუშაური არც თუ საიმედო წერილით გამოეხმაურა, „... სამწუხაროდ, აქ მაგისთანა დავალებას ვერავინ იკისრებს, რადგან აქ არავინ არის ქართველთაგანი ისეთი ნასწავლი, რომელიც აუსრულებს ბატონ არაყიშვილს სურვილსა. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს მესამე წელიწადია მოზდოკის საქალაქო სასწავლებელში მასწავლებელი ქართველი არავინ დაუნიშნავთ... განა საყურადღებო არ არის ჩვენთვის ის გარემოება, რომ აქაურ ქართველებში მხოლოდ ძველს თაობას შერჩენია ქართველური ზნე-ჩვეულებაც, მუსიკაცა და ენაც“ (ცნობის ფურცელი 1901, #1643, გვ.4). როგორც ჩანს, მოზდოკელი ქართველების უმთავრეს პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ მათ არ ჰქონდათ ქართული სკოლა, ამას გარდა, მართალია მათ „ქართულ გეგმაზედ აშენებული ძველი ეკლესია“ ჰქონდათ, მაგრამ არ ჰყავდათ ქართველი სასულიერო პირი, რომელიც მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვას ჩაატარებდა. „ამ მხარეზე ჩვენის საქმის გაღვიძება და გამობრუნება შეუძლია მხოლოდ სკოლას, თუ ვინმე ითავებს კარგ მასწავლებელს. თამამად ვიტყვი და იმედიცა მაქვს მოზდოკის საზოგადოებისა, რომ იგი მხურვალე გულით მოეკიდება ამას, მხოლოდ აქ არის საჭირო გაბედვა. მე ორჯერ-სამჯერ შემთხვევა მქონდა მელაპარაკნა სკოლის შესახებ. დიდის სიხარულით გამოვიდებთ ხვედრ წვლილსაო. აქ რამდენიმე შეძლებული პირნი არიან, მაგალითად პეტრე პეტროვი (პეტრიაშვილი), რომელიც ეს ხუთი წელიწადია, რაც მნათედ არის ამორჩეული მოზდოკის ქართულ ეკლესიაში; ეს სამი წელიწადია, რაც თავის ხარჯით ლოტბარს ინახავს და 600 მანეთამდე ხარჯავს წლიურად. უფრო კარგი არ იქნება, ესეთი ფულები ჩვენსავე საქმეზედ დაიხარჯოს? ორი წელიწადია, რაც ქართული გალობა შემოვიღეთ და ვინც თავის დღეში საყდარში არა ყოფილა, იმანაც დაიწყო სიარული. სკოლის საქმეც ძალიან კარგად წავა, რადგანაც ბევრია მსურველი ქართულის წერა-კითხვის ცოდნისა. განა მარტო მუსიკის მეტი სხვა აქ არა არის რა? ორმოცამდინ მეტი

შემხვედრია ძველი ხელთ-ნაწერები, დახეულ-დაგლეჯილები. ბევრი ხელ-ნაწერები აქვთ ზოგიერთ სომხის სახლებში. გარდა ამისა, რამდენი სხვა საუნჯე იკარგება. მოზდოკში უთუოდ საჭიროა ერთი ქართული სკოლა და შესაფერი მასწავლებელი“ (ცნობის ფურცელი 1901, #1643, გვ.4) - წერდა გულისტკივილით მოზდოკიდან გიორგი დუღუშაური დიმიტრი არაყიშვილს.

მათ ქართული სკოლის გახსნის თაობაზე დახმარებისათვის „წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვისაც“ მიუმართავთ-„ორივე სოფელში დიდად სწუხან, რომ ქართული წერა-კითხვა არ იციან და არა აქვთ ქართული წირვა-ლოცვა. ამ ბოლო დროს „ივერიაში“ ლაპარაკი იყო „მოდრავ სკოლებზე“. კარგი იქნებოდა, ამ გზით როგორმე ხელი გავეწოდოთ მოშორებულ ძმათა და დაკარგულ თანამემამულეთ ამ მხრივ საზრდო მივაწოდოთ. თუ ამ გზით ვერ შევსძლებთ შემწეობის მიცემას, ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ ეშუამდგომლნა მთავრობასთან, რათა სასოფლოში და სარაფანში დაინიშნოს ისეთი მასწავლებელი, რომელმაც იცოდეს ქართული ენა“, - წერდა „ივერია“ 1888 წელს (ივერია 1888 N 135 გვ.2-3).

მოზდოკში ქართული სკოლის დაარსება თავისთავზე აიღო რამდენიმე შეძლებულმა ადგილობრივმა ქართველმა, მათ შორის იყო იოსებ თევდორეს ძე გუბნელოვი, რომელმაც 1894 წელს საკუთარი ხარჯით ქართული სკოლისთვის შენობა ააშენა. სკოლის ფუნქციონირების შემდეგ ყოველწლიურად 200-250 მანეთის გადახდა აღუთქვამთ ადგილობრივ შეძლებულ ქართველობას (დეკანოზი ბართლომე სინანაშვილს, პილიცმეისტერი სვიმონ დავითის ძე გაბაშვილს, სტეფანე დიმიტრის ძე ეგოროვს, მათე იაკობის ძე ზუზინოვს, ჭყონიას, კონჭუხიძეს, პეტროვს, მარცველაძეს, მარჯანოვს და სხვებს). ამავე დროს მათ მიმართეს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას: „დანარჩენი თქვენ გვიშველეთ და სკოლა გაგვიმართეთო“ (ივერია, 1894 #132, გვ.1-2). მართალია, ქართული სკოლისთვის შენობა აშენდა, მაგრამ, სკოლის გახსნის საკითხი, სამწუხაროდ, განუხორციელებელი დარჩა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართველთა მძლავრი კერა გაჩნდა ქ. ვლადიკავკაზში (იგივე კავკაზში). იგი ჩრდილო კავკასიის სხვა ქალაქებთან შედარებით ბევრად დაწინაურებული იყო, რადგან იგი თერგის ოლქის ცენტრალურ ქალაქს წარმოადგენდა. ვლადიკავკაზში განვითარებული იყო როგორც სავაჭრო, ისე სამრეწველო საქმიანობა, შეიქმნა ბევრი სამუშაო ადგილი. ამ ფაქტორებმა გამოიწვია საქართველოდან ვლადიკავკაზში ქართველების დიდი რაოდენობით დამკვიდრება. აქ თავს იყრიდა სხვადასხვა კატეგორიის ქართველები - მსხვილი ვაჭრები, მეწარმეები, სასტუმროს მეპატრონეები, რომლებიც ქალაქის ცენტრში ცხოვრობდნენ. ხელოსნების და მუშების ნაწილი კი ვლადიკავკაზის გარეუბნებში, ნაწილი კი საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მდებარე სოფლებში (ლარსი, ჩმი, ბალტა) დამკვიდრდა.

ადგილობრივ შეძლებულ ქართველთა ინიციატივითა და მეცენატობით 1888 წელს დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კავკასის სკოლა. აღნიშნული საზოგადოების გამგეობამ სკოლას თავდაპირველად 200 მანეთი გაუგზავნა და სამომავლოდ დაჰპირდა, ყოველწლიურად საჭირო წიგნებით მომარაგებასა და მასწავლებელთა კვალიფიციური კადრების გაგზავნას, თუმცა მათი ჯამაგირისა და სახლის ქირაზე ადგილობრივ ქართველებს უნდა ეზრუნათ. სკოლა თავიდან საკუთარ შენობაში იყო მოთავსებული და 4 განყოფილებისგან შედგებოდა. თავდაპირველად სკოლაში 41 მოსწავლე სწავლობდა, თუმცა მათი რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა. ქართული სკოლის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი იყო ვლადიკავკაზში მცხოვრები ცნობილი პედაგოგი და ბუჰლიციისტი მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი. მისივე ინიციატივით, 1888 წელს, დაარსდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ვლადიკავკაზის განყოფილება, რომლის პირველ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა თავად მიხეილ ყიფიანი. ვლადიკავკაზის განყოფილებამ აირჩია დამხმარე წევრები, რომლებიც სკოლის მასწავლებელთან ერთად ადგილობრივ საქმეებს განკარგავდნენ; ხოლო ვლადიკავკაზში მოგროვილი საწევრო და შემწეობა მთლიანად სკოლას ხმარდებოდა (მიწერ-მოწერა, კავკასის განყოფილებასთან, 1908 – 1915).

ქართული სკოლის მხარდასაჭერად იმართებოდა საღამოები, თეატრალური წარმოდგენები, მაგალითად: დაიდგა ნატალია აზიანის პიესა „გაცრუებული იმედი“, აქსენტი ცაგარელის ვოდევილი „ჭკუისა მჭირს“. 1888 წელს კავკასის საერთო ბაღში საქველმოქმედო საღამო გაიმართა, შემოსული თანხმა კი სკოლას მოხმარდა. 1889 წლის 2 თებერვალს კავკასის საკომერციო კლუბში მიხეილ ყიფიანის თაოსნობით სკოლის სასარგებლოდ მასკარადი გაიმართა, ხოლო მასკარადიდან შემოსული მთლიანი თანხა (140 მანეთი) სკოლას მოხმარდა.

ვლადიკავკაზში არსებობდა ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება, რომლებიც თავიანთ შემოქმედებას-ხელსაქმეს-სპეციალურად ქველმოქმედებისთვის გამართულ ბაზრობაზე ჰყიდნენ, ხოლო შემოსულ თანხას ქართულ სკოლას ახმარდნენ (ცნობის ფურცელი, 1896 #67, გვ. 4). მოგვიანებით იქაური შეძლებული ქართველების მიერ ქალაქის ცენტრში შექმნილ იქნა მიწა ახალი ქართული სკოლისათვის. 1893 წელს აშენდა ქართული სკოლის ახალი, აგურის ერთსართულიანი შენობა. „... საუკეთესო ნაწარმოებნამოქმედარად კავკაველ ქართველებისა ითვლება აქაური ქართული სკოლა. ქალაქის შუაგულ ადგილზე შეუძენია აქაურ ქართველობას 5 ქვევაზე მეტი მიწა, აუგია საკმაოდ დიდი და შესაფერად მოწყობილი შენობა სკოლისათ-

ვის, გაუშენებია ხეხილის ბაღი, დაუარსებია სამუდამო საქმე, რომელსაც ყოველი კავკასელი ქართველი რაღაც სასოებით, უნებლიეთის სიყვარულით ეპყრობა. რაც უნდა სხვადასხვა ბანაკს ეკუთვნოდნენ აქაური ქართველნი, სკოლის არსებით საჭიროება-მოთხოვნილებების შესახებ განურჩევლად წოდებისა, ყველანი შეთანხმებულნი არიან“(ცნობის ფურცელი 1903 #2203გვ.2-3).

სკოლისთვის მიწის შეძენასა და მშენებლობაში დიდი მხარდაჭერა აღმოუჩინეს ცნობილმა მეცენატებმა დავით სარაჯიშვილმა, ონისიმე შავგულიძემ, სტეფანე ელიაძემ, ფილიპე ახობაძემ, იოსებ შვილევმა (შვილიევმა), ი. მოზდოკელოვმა და სხვებმა. ახალ აშენებულ შენობაში 1893 წლის 20 ოქტომბერს დაიწყო სწავლა. სკოლასთან ერთად დაარსდა წიგნსაცავი და ბიბლიოთეკა. 1897 წლის ცნობით სკოლაში 100-ზე მეტი მოსწავლე სწავლობდა (ცნობის ფურცელი, 1897, #218, გვ. 2-3).

1893 წლის 22 ოქტომბერს ილია ჭავჭავაძემ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით მისალოცი დეპუტა გაგზავნა ვლადიკავკაზში ქართული სკოლის ახალი შენობის განხილვის დაკავშირებით, ამავე დროს მან სკოლას ხსენებული საზოგადოების სახელით 14 მანეთის სასკოლო ნივთები გაუგზავნა. ხოლო იაკობ გოგებაშვილმა 10 ცალი „დედა ენა“ შესწირა (მიწერ-მოწერა, კავკავის განყოფილებასთან, 1908 – 1915).

დაარსდა „კავკავის სკოლის სამზრუნველო კომიტეტი“, რომელიც იზრუნებდა და ხელს შეუწყობდა სკოლის განვითარებას და ფინანსურ მხარდაჭერას აღმოუჩენდა, ამავე დროს იგი გააკონტროლებდა სკოლის ხარჯებსაც. კომიტეტის წევრთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა. სამზრუნველო კომიტეტის წევრები იყვნენ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ქართველები: იასონ მერაბის ძე ლორთქიფანიძე, იოსებ ვასილის ძე მოზდოკელოვი, იოსებ გრიგოლის ძე შვილევი, პართენ ალექსანდრეს ძე გოთუა, სტეფანე იაკობის ძე პოპოვი, ეფროსინე იაკობის ასული ჭიჭინაძე, კონსტანტინე სოლომონის ძე გვარამაძე (მოგვიანებით, იოსებ შვილევის შემდეგ იგი კომიტეტის ხაზინადრად აირჩიეს), ერთაოზ გიორგის ძე სიღამონ-ერისთავი, მიხეილ ვასილის ძე ინასარიძე, გიორგი ბესარიონის ძე ბარათაშვილი, ილარიონ გიორგის ძე ბაქრაძე, ივანე მიხეილის ძე ჩითავიშვილი, ივანე ივანეს ძე ფიცხელაური, ტიტე ბენედიქტეს ძე კახიძე (იგი 1890 წელს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს), ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილი, ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყაზბეგი, გრიგოლ მიხეილის ძე ბურდული, მოსე ანთიმოზის ძე კალანდარიშვილი, დავით იოსების ძე მაჭავარიანი (იგი 1890 წელს აღნიშნული კომიტეტის მდივნად იქნა არჩეული) და სხვები. კომიტეტის პირველ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა იასონ მერაბის ძე ლორთქიფანიძე, ხაზინადრად იოსებ შვილევი და მდივნად პართენ გოთუა. სამზრუნველო კომიტეტის არ-

ჩეულ წევრებს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა“ ამტკიცებდა. აღნიშნული პირები გამგეობამ კომიტეტის წევრებად დაამტკიცა. მოგვიანებით „კავკავის სკოლის სამზრუნველო კომიტეტის“ თავმჯდომარედ არჩეულ იყვნენ ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე და პართენ გოთუა. ხოლო ხაზინადრად ნიკოლოზ თევდორეს ძე გუბნელოვი. (მიწერ-მოწერა, კავკავის განყოფილებასთან, 1908 – 1915).

1897 წელს „სამზრუნველო კომიტეტმა“ გამოაქვეყნა იმ პირთა სია, რომელთაც სკოლის დაარსების დღიდან, 1888 წლიდან, 1897 წლის 18 მაისამდე, შეწირულობა გაუღია სკოლისათვის - დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი (760 მ.), ალ. აფრიაშვილი (105 მ.), ნ. ბალანჩივაძე (165 მ.), ივ. გვარამაძე (110 მ.), ალ. გაზალოვი (290 მ.), პავ. გვარამაძე (104 მ.), არტ. გაზალოვი (270 მ.), მიხ. ჯაფარიძე (120 მ.), ალ. ივანოვი (100 მ.), სოფ. კულიაკოვსკაია (130 მ.), ტ. კახიძე (150 მ.), მიხ. ყიფიანი (125 მ.), მ. კალანდარიშვილი (245 მ.), ნ. მაჭავარიანი (116 მ.), დ. მაჭავარიანი (130 მ.), გრ. მოზდოკელიშვილი (180 მ.), იოსებ მოზდოკელიშვილი (470 მ.), სტ. პოპოვი (260 მ.), თ. ეროთეოს სიღამონ-ერისთავი (160 მ.), თ. არჩილ გულბათის ძე ჭავჭავაძე და კნეინა მართა ზაქარიას ასული ჭავჭავაძისა (200 მ.), დ. შავთვალოვი (110 მ.), იოსებ შვილევნი (235 მ.) (ცნობის ფურცელი, 1897, #218, გვ. 3).

კავკავის სკოლის საქმიანობას პერიოდულად ამოწმებდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მიერ თბილისიდან მივლენილი წევრები. მაგალითად: 1900-1901 სასწავლო წელს კავკავის სკოლა და მასთან არსებული საკვირაო სკოლა უფროსებისათვის მონაბუნა გამგეობის წევრმა გიორგი იოსელიანმა. მანამდე სკოლის შემოწმება დაევალა ექვთიმე თაყაიშვილს, თუმცა მან ვლადიკავკაზში გამგზავრება ვერ შეძლო. 1901 წლის 12 დეკემბერს, საზოგადოების გადაწყვეტილებით, ვლადიკავკაზში სკოლის შესამოწმებლად მივლენილ იქნა არჩილ ჯორჯაძე. 1904 წლის 26 მაისიდან 2 ივნისამდე გამგეობის წევრმა ივანე გიორგის ძე რატიშვილმა კავკავის სკოლა დაათვალიერა და იქ არსებული მდგომარეობა მოიწონა (მიწერ-მოწერა, კავკავის განყოფილებასთან, 1908 – 1915).

ქართულ სკოლის გამგედ სხვადასხვა დროს დანიშნულ იყვნენ: ტიტუ კახიძე, მიხეილ ყიფიანი, პართენ გოთუა, ლუარსაბ ბოცვაძე, ვარლამ ბურჯანაძე და სხვ. ხოლო სკოლის პედაგოგები იყვნენ: მღვდელი გიორგი გრიგოლის ძე ნათაძე (ასწავლიდა საღვთო სჯულს), ლუარსაბ გერასიმეს ძე ბოცვაძე, ალექსანდრა ივანეს ძე ხახიშვილი, ნიკოლოზ სვიმონის ძე კურდღელაშვილი (ასწავლიდა გალობას და ამავე დროს იყო ქოროს ხელმძღვანელი), ივანე ბედელაძე, ვარლამ ბურჯანაძე და სხვები.

1895 წელს კავკავის სკოლასთან დაარსდა საკვირაო სკოლა უფროსებისათვის, სადაც ასწავლიდნენ: გიორგი ნათაძე, პართენ გოთუა, კონსტანტინე გვარამაძე, ლუარსაბ ბოცვაძე, ნიკოლოზ კურდღელაშვილი და მთავარ-დიაკვანი ბართლომე ღუდუშაური.

ადგილობრივ შეძლებულ ქართველთა ფინანსური დახმარებით სკოლის ტერიტორიაზე აშენდა წმ. ნინოს სახელობის ქართული ეკლესია, ეკლესიის აშენებაში დიდი წვლილი გასწია ადგილობრივმა ქართველმა იოსებ შვილემ. შეიქმნა ეკლესიის „ამშენებელი კომიტეტი“, რომელის თავმჯდომარეც გახლდათ ასევე ქართველი იოსებ ვასილის ძე მოზდოკელოვი. 1898 წლის 1 ნოემბერს ტაძარი წმ. ნინოს სახელზე აკურთხა მოზდოკისა და კავკავის ეპისკოპოსმა ვლადიმერმა „თვითონ ეპისკოპოსმა შეისწავლა ქართული ენა და წმ. ნინოს დღეობაზე სწირავდა რუსულად და ქართულ ენებზე“-ო იუწყებოდა ამ ამბის შესახებ გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (ცნობის ფურცელი 1898, #665, გვ. 2); ეკლესიის მღვდლად და ასევე სკოლის საღვთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნა მღვდელი გიორგი ნათაძე, რომელიც კავკაველ ქართველებში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. „აქაურ სკოლასთან შეერთებული ქართული ეკლესია და ქართველი მღვდელი აერთებს, აკავშირებს ყველა წრის ქართველს. დიდად საყურადღებოდ მიმაჩნია იმ გარემოების მოხსენება, რომ აქაურ მღვდელს ძალიან კარგი გავლენა მოუპოვებია. იგი ყველას მიერ საპატიო, დარბაისულ პირად ითვლება, იმის რჩევასა და სიტყვას ქართველთათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. კავკაველი ქართველობა ყოველ საერთო საქმეს, სკოლის მეთაურების მიერ დაწყებულს, დიდის თანაგრძნობითა და სიყვარულით ეპყრობა. ყოველ წევრს შეძლები-სადაგვარად წვლილი მიაქვს სკოლისათვის დაუზარებლად, უჭინჭყოლოთ, უდავიდარაბოთ“ (ცნობის ფურცელი 1903 #2203 გვ.2-3).

1899 წელს ეკლესია და სკოლა მოინახულა ეპისკოპოსმა კირიონმა (სადაგილიშვილი) „პირველ ნოემბერს კავკავის ქართულ სასწავლებელში მობრძანდა ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი კირიონი... ყოვლად სამღვდელო კირიონი მობრძანდა სასწავლებელში დილას, როცა სკოლის მოწაფეები ათავებდნენ დილის საზოგადო ლოცვას. ეპისკოპოსს კირიონს მოწაფეები მიეგებნენ „ღირს არსისა“ და „ისპოლა“-ს გალობით. ყოვლად სამღვდელომ დაათვალიერა კლასები, ეკლესია, რომელიც ძლიერ მოეწონა. ამასთან მისმა მეუფებამ გადასცა მასწავლებელს ოცდახუთი მანეთი სკოლის საჭიროებისათვის და შემდეგისათვისაც დაჰპირდა დახმარებას წიგნებით თუ სხვა საშუალებებით“ (ივერია 1899, #241, გვ.2-3).

ქართული სკოლის „სამზრუნველო კომიტეტის“ ინიციატივით 1903 წელს სკოლის ტერიტორიაზე საფუძველი ჩაეყარა ქართული თეატრის („სათეატრო დარბაზის“) შენობას. 3 აგვისტოს აკურთხეს დარბაზის საძირკველი.

შენობა ქართველთა შემოწირულობით უნდა აშენებულიყო. შეროვილ იქნა გარკვეული თარხა, თეატრის შენობის მშენებლობაში დახმარების მსურველი საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა. გაზეთი „ივერიაში“ კავკასის ქართული სკოლის სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარე პართენ გოთუა აღნიშნული კომიტეტის სახელით მაღლიერებას გამოხატავდა ყველა იმ პირის მიმართ, რომელთაც მცირე წვლილი შეიტანეს „ქართული სათეატრო დარბაზის“ მშენებლობის საქმეში. შემომწირველთა სია საკმაოდ დიდია, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე პიროვნებას, მათ ვინც დიდი შემოწირულობა გაიღეს მოვიყვანთ: ონისიძე ლაზარეს ძე შავგულიძემ - 300 მან., დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილმა - 200 მან., ფილიპე გიორგის ზე ახობაძემ - 200 მან., სტეფანე სვიმონის ძე ელიაძემ - 200 მან., იოსებ გრ. შვილევმა - 200 მან., კავკასის სკოლაში მოსამსახურე პირებმა და კავკაველ სცენის მოყვარულებმა - სახალხო წარმოდგენებისაგან შემოსული ფული 144 მან., 19 კ., და სხვები (ივერია 1903 #170, გვ.3-4). ამასთანავე პართენ გოთუა თხოვნით მიმართავდა ქართველ საზოგადოებას, რომ „...შეძლებისადა გვარად დახმარება აღმოგვიჩინონ და მოგვაწოდონ თავისი წვლილი ამ კეთილ განზრახვის დასამთავრებლად. შემოწირულება მიიღება: ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში - მდივანთან სამ. ფირცხალავასთან, ბაქოში ბ. სიმონ კვიტაშვილთა და ბ. მაჭავარიანთან, პეტროვსკში - ბ.მ.ი. მარიამულთან, პიატიგორსკში - ონ. ლ. შავგულიძესთან, კისლოვოდსკში - სტეფანე სვ. ელიაძესთან, გროზნოში - პავლე მეფურნოვთან, ყიზლარში - მიხ. პ. ჯაფარიძესთან და კავკავში მღვდელს გიორგი ნათაძესთან, ბ. გრიგოლ მიხ. ბურდულთან (სასტუმრო „გრანდ ოტელი“), იოსებ გრ. შვილევთან (საკუთარი მალაზია), თავ. იას. მ. ლორთქიფანიძესთან (საურთიერთო ნდობის ბანკი) და აგრეთვე ჩვენს სახელზედაც (ივერია 1903 #170, გვ.3-4).

დასასრულს, შეგვიძლია შევაჯამოთ, რომ ჩრდილო კავკასიაში მიგრირებული ქართველები მშობლიური ენისა და ტრადიციული კულტურის შენარჩუნებით მტკიცედ ინახავდნენ ეროვნულ იდენტობას, რასაც ხელს უწყობდა ჩრდილო კავკასიელ ქართველთა უწყვეტი კონტაქტი მშობლიურ კუთხეებთან, მათ მიერ დაარსებული ქართული სკოლები და ქართული ეკლესია, რითაც ინარჩუნებდნენ სულიერი კულტურის ელემენტებს, მყარად იცავდნენ ეროვნულ-კულტურული იდენტობის უმნიშვნელოვანეს მახასიათებლებს: ქართულ ენას, დამწერლობას, ლიტერატურას, ტრადიციულ ყოფას, დგამდნენ ქართულენოვან თეატრალურ წარმოდგენებს, ქართულ ენაზე ადავლენდნენ წირვა-ლოცვას და ა. შ. ჩრდილოეთ კავკასიაში მიგრირებულ ქართველთა კულტურულმა მოძრაობამ, მძლავრი იმპულსები მისცა ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებასაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ანჩაბაძე და სხვები, 1978: ანჩაბაძე ზ., ბოცვაძე თ., თოგოშვილი გ., ცინცაძე მ., ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკვეთი II, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი;
- ბურჯანაძე, 1912: ბურჯანაძე, ვ., ალაგირელ ქართველთა კულტურული ნაბიჯი (წერილი ჩრდილო კავკასიიდან) „განათლება“, სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი, 1912წ.1 იან., N1-10. გვ. 52- 60.
- გვასალია, 1990: გვასალია ჯ. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის საკითხისათვის, „მაცნე“ ისტორიის ... სერია, N3; თბილისი;
- მიწერ-მოწერა, კავკავის განყოფილებასთან, 1908 – 1915: მიწერ-მოწერა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კავკავის განყოფილებასთან, მოხსენებები და ოქმები განყოფილების საქმიანობის შესახებ | 1908-1915, <https://prosopography.iliauni.edu.ge/sources/3689-mitser-motsera-qartvelta-shoris-tsera-kitkhvis-gamavrtsel-ebeli-sazogadoebis-kavkavis-ganyofile-bastan-mokhsenebebi-da-oqmebi-ganyofilebis-saqmianobis-shesakheb-1908-1915>
- პროსოპოგრაფია, 1918-1921: საქართველოს პროსოპოგრაფია (საქართველოს პირველი რესპუბლიკის (1918-1921) პროსოგრაფიული ბაზა და სოციალური კლასტერების ანალიზი <https://prosopography.iliauni.edu.ge/places/875-alagiri>)
- ღუღუშაური, 1984: ღუღუშაური გ., ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (ცნობები ჩრდილოკავკასიელი ხალხების შესახებ XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის ქართულ მოღვაწეთა ნაწერებსა და პრესაში), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის ...სერია, 1984, N2.

პრესა:

- ღროება, 1883 #28,
ივერია, 1888 #135
ივერია, 1894 #132
ივერია, 1899, #241
ივერია, 1903, #72
ივერია, 1903 #170
ივერია, 1903 წ. #206
კვალი, 1900 წლის #26

კლდე, 1920, #18,
ცნობის ფურცელი, 1896, #46
ცნობის ფურცელი, 1896 #67
ცნობის ფურცელი, 1897 #218
ცნობის ფურცელი, 1898 #665
ცნობის ფურცელი, 1901 #1619
ცნობის ფურცელი, 1901, #1643
ცნობის ფურცელი, 1902 #1706
ცნობის ფურცელი, 1903 #2203